




# ბიულეტენი


აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის  
საინფორმაციო ორგანო

№1 (76) იანვარი, თებერვალი, მარტი 2016 წელი



წმ. ანდრია კრეტელი

„ათვალი სეთუჯს, მშენიერება შერიბისა“



ათსაჭრდი ლიტურგიატრდის პაცტრიატდი



# „აილდებიც და მოყვარულნიც, აილდებს გვიხარია“

განსაკუთრებული და გამორჩეული გამოდგა სულიერებისა და კულტურის ცენტრისათვის არსებობის მე-9 - 2015 წელი. მაცხოვრის შობის და ახალი წლის დადგომის საყოველთაო სიხარული ჯერ კიდევ არ განელეებულიყო, რომ რუსთაველის გამზ. #37-ში ხანძარი გაჩნდა (12 იანვარი) და ცენტრის ოფისი მნიშვნელოვნად დაზარალდა. ამან განაპირობა ჩვენი პირვანდელი მიმართულების - სულიერებაზე შემოქმედებითი ზრუნვის - ფიზიკური შრომით შეცვლა, რათა მიყენებული ზიანი აღმოგვეფხვრა და შეგვექმნა ელემენტარული სამუშაო პირობები. ამ მოულოდნელ დაბრკოლებასთან ჭიდილს თითქმის ორი კვარტალი დასჭირდა. გაჭირვების ტალკვესად ცენტრს მოვევლინენ: საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ზვიად ძიძიგური და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია და თბილისის მერი დავით ნარმანია. მერიის განკარგულებით (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება 2015 წლის 15 აპრილის №15.18.432) გამოიყო ახალი საოფისე ფართი, ხოლო აფხაზეთის მთავრობამ (ორ არასამუშაო დღეში ოთახებში კარების დაყენებით) გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ, მონდომების შემთხვევაში, როგორ ოპერატიულად და ხარისხიანად შეიძლება პრობლემური საკითხების მოგვარება. მისაბაძი მაგალითია ოფისის კეთილმოწყობა, სამწუხაროდ, მხოლოდ თანამშრომელთა ძალებით, ძველი ოფისიდან წიგნებისა და საარქივო მასალის ჩაბარება-ამოღება-დაბარება, საკმაოდ გაჭიანურდა, ტექნიკურ აღჭურვილობას (ინტერნეტი, ტელეფონი) თითქმის წელი დასჭირდა, გათბობის საითხის მოგვარება კი 2016 წლის პირველი კვარტლისათვის გადავიდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ენერჯის გაერთიანებისა და ნებისყოფის გამოჩენის ხარჯზე, შემოქმედებითი მუშაობა არ ჩაშლილა, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზების გამოძებნა მოხერხდა. თემები, რომლებიც ყურადღების ცენტრში მოექცა, მრავალფეროვანი იყო: ტრადიციების დაცვა, ეროვნული კლასიკის კითხვა სხვადასხვა ფორმით, სულიერი ცხოვრების გაღრმავებაზე ზრუნვა, აუდიტორიის გაფართოების მიზნით ახალი ობიექტების ათვისება, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგების სიახლეების პროპაგანდა, ერთი სიტყვით, თემები, რომლებიც იმედს ჩაუნერგავდნენ ბედისწერისაგან მოულოდნელად განსაცდელგამოვლილ ადამიანებს. ეს გზა კი, ამა თუ იმ კუთხით, საქართველოს ყველა მაცხოვრებელს შეეხო.

გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე პრიორიტეტულ თემას. აფხაზეთის კუთხე ერთიან საქართველოში მხატვრულად და „აგიტელფერის გარეშე“ (როგორც სალამოს რეცენზენტი მუსიკოლოგი მანანა კორძაია აღნიშნავს) იქნა წარმოდგენილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე 9 ივნისს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით „მთავრის მოტაცება“. განა დღევანდელ უაზრო განხეთქილებას უკეთესი პასუხი შეიძლება გაეცეს, ვიდრე ეს საქართველოს სამმა სათაყვანებელმა ხელოვანმა - კონსტანტინე გამსახურდიამ, ოთარ თაქთაქიშვილმა და შოთა ნიშნიანიძემ გააკეთეს? სალამოს მომზადებაში ცენტრს წარმოუდგენელი ენთუზიაზმით გვერდში დაუდგა ორი დიდი შემოქმედი, ცნობილი არა მხოლოდ როგორც თავისი საქმის სპეციალისტები, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწეები, სამაგალითო პიროვნებები - გიზო ჟორდანიას და ანზორ ერქომაიშვილი. თემა, მისი განხორციელების მასშტაბი და მხატვრული ხარისხი ღირსეულად დააფასა აფხაზეთის მთავრობამ. გულისტკივილით უნდა აღინიშნოს ნაკლები ყურადღება იმ დაწესებულებათა მეთაურების მხრიდან, რომელთაც დაქუცმაცებული საქართველოს მართვის სადავეები უპყრიათ ხელთ და რომელთათვისაც უშუალოდ დევნილთა საკითხები პრიორიტეტული უნდა იყოს. ეს ხარვეზი რომ არა, სახელმწიფოებრივ ფედერალობას შეიძენდა არა მარტო ამ გენიალური ნაწარმოების დადგმა, არამედ აფხაზურ თემაზე უკანასკნელ წლებში დადგმული საბალეტო სპექტაკლი „აჭარპანი“. ამ თვალსაზრისით, რომლის აუცილებლობაზე არაერთხელ გავგვიმახვილებია ყურადღება, მადლობას იმსახურებს საქართველოს კულტურის სამინისტრო ისეთი ფესტივალის მიმართ, როგორიცაა ნიქოზის ანიმაციური ფილმების ფესტივალი.

დევნილთა კულტურული მომსახურების თემას აგრძელებს 19 ნოემბერს წეროვანის დასახლებაში გივი ბერიკაშვილის, კახი და იმერი კავსაძეების შეხვედრის ორგანიზება. ცნობილი მსახიობებისა და ადგილობრივი კოლექტივების მონაწილეობით გამართულმა იმპროვიზაციულმა საღამომ დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც მონობდა მათი სურვილი საპატიო სტუმრებთან სამახსოვრო სურათების გადაღებისა. საღამო ჩაინერა ვიდეოზე, დამონტაჟდა და იმედია, ფილმი, რომელიც გაერთიანებისკენ მონოდებაა, ცენტრის ფონდში მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს.

## „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“

მშვენიერება ის აბსტრაქტული ცნებაა, რომელსაც განკერძოებულად, მხოლოდ ერთ საგანსა თუ მოვლენასთან მიმართებაში ახსნას ვერ მოუძებნი. მშვენიერება ყველაფერშია, რაც გარს გვაკრავს, მისი დანახვა და აღქმა უნდა შეგვეძლოს მხოლოდ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმადესისა და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მოამზადა და გამოსცა წიგნი „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“. 2016 წლის 1 თებერვალს წმ. სამების საკათედრო ტაძარში, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, სწორედ ამ

წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას თან ახლდა ცენტრის თანამშრომლის, კალიგრაფ ლეილა ბაღბაიას ნამუშევართა გამოფენა. გამოფენა-პრეზენტაცია უწმიდესისა და უნეტარესი ილია II აღსაყდრების 38-ე და დაბადების 83-ე წლისთავს მიეძღვნა. საღამოზე მონაწილე სტუმართა შორის იყვნენ: საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), მანანა გიგინეიშვილი, ელდარ გენაძე, ფრიდონ სულაბერიძე, ვახტანგ ყოლბაია, ელგუჯა გვაზავა, ელისო ჩაფიძე, თინა ჩუბინიძე, მანუჩარ მაჩაიძე, გენო კალანდია, ბელა კოპალიანი, გელა კანდელაკი, ნიკოლოზ ჟღენტე, გიორგი სისაური და სხვა სასულიერო და საერო პირები. მსმენელ-მაყურებლებით სავსე აუდიტო-

რია მ გამომსვლელთა საინტერესო და სხვადასხვა კუთხით დანახული შეფასებები მოისმინა. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს:

**სვეტლანა ქეცვა:**

- „ნიგნი მშვენიერებაზე შექმნილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით, უფრო მეტიც, მისი იდეით, რამეთუ სწორედ მას, საკუთარი ხალხის მომავალზე მოფიქრალს, სურდა მიეცა მისთვის საშუალება შეეცნო სამყარო სილამაზის, მშვენიერების მეშვეობით.

ღვთისმეტყველები, სამართლიანად აღნიშნავენ რა,



რომ ყველა ხელოვნება ერთი ცენტრიდან მოდის, რომ ყველა ხელოვნებას სამყაროში ღვთაებრივი ნათელი მოაქვს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მუსიკას, როგორც ხელოვნებას, რომელიც ადამიანის სულის სიღრმეს, მთელ მის არსებას სწვდება. მუსიკა ყველაფერშია - ქანდაკებათა მოხაზულობაში, პოეზიის რიტმებსა და რითმებში, ტილოების ფერებსა და ხაზებში, ხუროთმოძღვრულ ქმნილებათა სიმეტრიაში, იგი ბუნებაშია, ყველაფერში, რაც გარს გვაკრავს. ასეთივეა სილამაზე, გოეთე თვლის, რომ მშვენიერება ჭეშმარიტებაშია, საფო - მიჯნურში, მშვენიერება რწმენაშია, ლოცვაში, რომელიც გვაფხიზლებს, გვაგრძობინებს, რომ მშვენიერება სამშობლოს სიყვარულშია, ასე თვლის ანა კალანდაძე, იგი სიკეთეშია, რომელიც სილამაზესთან შეთანხმებულად მოქმედებს, ამტკიცებს პუშკინი... გალაკტიონი რამდენიმე სიტყვით, საესედ და სრულად გვამცნობს: „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე“.

იმის შესახებ, როგორ ესმოდათ მშვენიერება სამყაროს უდიდეს ადამიანებს, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებს, შეიძლება არაერთი ნიგნი შეიქმნას.

მაგრამ პატრიარქის კურთხევით ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ. რა არის მშვენიერება, რა მოაქვს მას სამყაროში და შეუძლია თუ არა მას მისცეს ადამიანს შესაძლებლობა მოიპოვოს შინაგანი ჰარმონია, მიიღოს ღვთის მადლი?

ჩვენს ნიგნი ამ კითხვებს პასუხობენ ჩვენი თანამედროვეები - ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი თუ უცნობი სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. ვის არ შეხვდებით აქ: მეცნიერებს, რეჟისორებს, გლეხებს, მუსიკოსებს, პოეტებს, სპორტსმენებს, მხატვრებს. ყოველი მათგანი თავისებურად საუბრობს მშვენიერებაზე. ამასთან, მათ მოსაზრებებში არის რაღაც საერთო, მშვენიერების ის შეგრძნება, რომელიც ხალხში მარადიულად ცხოვრობს, თაობიდან თაობას გადაეცემა და ხალხის „ჭეშმარიტ სიამაყეს“ წარმოადგენს.

მშვენიერებაზე ნიგნის ყოველი მკითხველი მასში რაღაც ისეთს აღმოაჩენს, რაც მას საკუთარ ცხოვრებაზე ჩააფიქრებს, მისცემს საშუალებას მშვენიერების სამყაროს

ეზიაროს.

მადლობას მოვასხენებ ყველას, ვინც ჩვენი ნიგნის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა და განსაკუთრებით უწმიდესს, რომელიც თავად მშვენიერების განსახიერებას წარმოადგენს“.

**მეუფე დანიელი:**

- „მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე და უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ერის დიდ სულიერ წინამძღოლს, რომელსაც ეძღვნება დღევანდელი გამოფენა და, რასაკვირველია, მისი კურთხევით შექმნილი ნიგნის პრეზენტაცია. კიდევ ერთხელ წარმოჩენა, როგორც აქ აღინიშნა, იმ დიდი ფიქრისა და ზრუნვის ნაყოფისა, რომელიც ყოველთვის, ყოველნუთიერად ეძებს საშუალებას, რომ მოუტანოს ერს, თავის ხალხს სიხარული, სულიერი წინსვლა, სრულყოფა. თუ თავად ნიგნის შესავალს წავიკითხავთ, დავინახავთ საოცარ შინაარსს - უწმიდესი ურეკავს ქალბატონ სვეტლანას გურიიდან, ე.ი. ის ბრძანდება გურიაში და დილით უყვება იმას, რაზეც იფიქრა ღამით, ანთებულია იმით, რომ ეს უთხრას. მან დაინახა, თუ რას ნიშნავს ასეთი ნიგნი, დაინახა, თუ რა სარგებლობა შეიძლება მოიტანოს ამ ნიგნმა და დაინახა ის პიროვნება, ვინც შეიძლება შეძლოს ასეთი ნიგნის, კრებულის მომზადება, რადგანაც ქალბატონი სვეტლანა ნამდვილად არის ის პიროვნება, რომელიც ემსახურება საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, მშვენიერებას. მშვენიერია მისი ხედავ ღვთისა, სამყაროსი, ადამიანისა და ურთიერთობები მშვენიერია. ამიტომ ყოველი საღამომო, რომელსაც იგი აწყობს, უზადო მშვენიერებით გამოირჩევა. მშვენიერება არის დღევანდელი გამოფენა. მინდა გავიხსენო უწმიდესის სიტყვები. როდესაც დაიწყო მუშაობა ამ ნიგნზე, იგი ხშირად იხსენებდა დოსტოვესკის სიტყვებს: „სილამაზე გადაარჩინეს კაცობრიობას, სამყაროს“. დიახ, ეს არის ჭეშმარიტება და ნიგნის ყდაზე წერია სიტყვები ფსალმუნიდან: „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“. დიახ, სადაც სუფევს უფალი, იქ არის მშვენიერება. როდესაც ჩვენ აღვიქვამთ მუსიკას, მხატვრობას, ლიტერატურას, თუნდაც მეცნიერებას, თუნდაც ნებისმიერ დარგს შემოქმედებისა, ადამიანურ ურთიერთობებს, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს უყვარდეთ ერთმანეთი, თანაუგრძნონ ერთმანეთს, გაუფონო ერთმანეთს, თუნდაც როგორ არის მონყობილი ეს სამყარო - ეს საიდუმლოება - ყველაფერი მშვენიერია, და როცა ჩვენ ვეხებით მშვენიერებას, ჩვენ ვეხებით უფალს. ამიტომ უწმიდესს სურდა, ჩვენი გული, ჩვენი გონება იყოს კონცენტრირებული მშვენიერებაზე, რომ ჩვენ ვიყოთ უფალთან და უფალთან ყოფნა ადამიანს უმსუბუქებს ჯვარს. უფალთან ერთად ცხოვრება არ არის მძიმე, და ხშირად უფალთან ერთად ადამიანს ავიწყდება ყოველდღიური ცხოვრების ტკივილი, სიმძიმე და იგი არ დაითრგუნება, არასოდეს ჩაიდენს შეუფერებელ საქციელს, გაიმარჯვებს და მჯერა, რომ ეს არაჩვეულებრივი ნიგნი ისევე, როგორც დღევანდელი არაჩვეულებრივი გამოფენა - ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი ჩვენი ერის, ჩვენი საზოგადოების სულიერი გაძლიერებისა და გამარჯვებისაკენ, კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს გამოვლიანებისაკენ, აფხაზეთში, სამაჩაბლოში მშვიდობის აღდგინების, ქართველთა და აფხაზთა, ქართველთა და ოსთა და ყველა ხალხებს შორის სიყვარულის აღდგინებისაკენ. დიდი მადლობა კიდევ ერთხელ უწმიდესს, დიდი მადლობა ქალბატონ ლეილას, ქალბატონ სვეტლანას და ყველას, ვინც აქ ბრძანდები“.

**მანანა გიბინიძე:**

- „ვფიქრობ, ეს ნიგნი საჩუქარია დღევანდელი საქართველოსთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ინიციატორი არის უწმიდესი. მე ძალიან დიდ პატივად მიმაჩნია ის, რომ აქ აღმოჩნდა ჩემი თარგმანი - მე-17 საუკუნის ესპანელი ღმერთის შესახებ გვესაუბრება და გაოცებულია იმით, თუ რამდენი მშვენიერება შექმნა მან.



უფალს შევთხოვ, რომ ამ წიგნის ინიციატორს დღევრ-ძელობა მისცეს, რათა მთლად არ ნაგვლეკოს იმ საოცარმა ნიაღვარმა, რომელიც საქართველოს ემუქრება“.

**ელისო ჩაფიძე:**

- „ძალიან ამაღლებელია ის, რასაც დღეს აქ ვხედავ, მრავალი თვალსაზრისით. როგორ ელოლიაება ქალბატონი ლეილა ქართულ ასოებს, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა გადაარჩინა. და სწორედ ამაზე დგას ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ქვეყანა - ენაზე, მამულზე, სარწმუნოებაზე, ქართულ ასომთავრულზე, ქართულ დამწერლობაზე. როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, ვინ ვართ, რანი ვართ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, რა ღირებულებები უნდა გავაჩინოვოთ, აი ეს არის ის თემა, რაც უნდა გავაცნოთ ცივილიზებულ სამყაროს და რამაც უნდა გადაგვარჩინოს. მადლობა ყველას აფხაზეთის სტრუქტურებიდან, ყველას გილოცავთ და გვიმრავლოს ღმერთმა ასეთი ღამაზი საღამოები“.

**რუსუდან ქუთათელაძე:**

- „ყველაფერი, რაც უწმიდესის და უნეტარესის ნებით ხდება, რაღაც განსაკუთრებულია და ჩვეულებრივ ადამიანებში უცებ გამოკვეთს ისეთ ნაპერწკალს, რომელიც შეიძლება მთელი ცხოვრება გქონდეს და მაინც გამონათდეს. ასეთი გამონათების ბედნიერება და დიდი პატივი სრულიად მოულოდნელად მერგო - ამ არაჩვეულებრივი წიგნის მონაწილე ვყოფილიყავი. აუცილებელი გახდა ამ წიგნში მოხვედრილიყო რაღაცა საკითხი ჩინეთზე და არჩევანი ჩემზე გაჩერდა. მე და ჩემმა დეიდაშვილმა ლუ ყანდარელმა დავწერეთ. მცირე მოცულობით უნდა დაგვეწერა ჩინეთზე, საქართველოზე, მშვენიერებაზე. ეს ურთულესი ამოცანა იყო და ჩვენც ვეცადეთ, კარგად გამოგვეხატა ეს. ამ წიგნში მოხვდა მამას, ლადო ქუთათელაძის, ერთ-ერთი უკანასკნელი ქართული შრიფტი. თმის ღერივით წვრილი ფუნჯით არის მოხატული 33 ქართული ასო. ქალბატონ ლეილას ნამუშევრების ნახვამ აღმაფრთოვანა. ამაყი ვარ, რომ ჩვენ გვაქვს ასეთი არაჩვეულებრივი სილამაზე, მშვენიერება - ქართული ანბანი. ძლიერები ამა ქვეყნისანი მოდიან, მიდიან, სამუდამოდ რჩება მხოლოდ ქართული გენი, ქართული ნიჭი და ქართული ხელოვნება - ეს არის მუსიკა და ეს არის მხატვრობა, რომელშიც ჩვენ უდიდესი მოღვაწეები გვაყვს.“

დიდი მადლობა უწმიდესსა და უნეტარესს იმისათვის, რომ მერგო ასეთი პატივი, ასეთი დიდი ბედნიერება, მოვხვედრილიყავი ასეთ არაჩვეულებრივ წიგნში. იმედი მაქვს, რამდენი ადამიანიც გადაფურცლავს ამ წიგნს და ნაიკითხავს, მის სულში აენთება რაღაც საოცარი ნაპერწკალი და ის გაცილებით უფრო სულიერი, გაცილებით უფრო კეთილმოსურნე და ამაღლებული იქნება“.

**ვახტანგ ყოლბაია:**

- „დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ქალბატონ სვეტლანას ამ საღამოსათვის. ეს სულიერებისა კულტურის ცენტრ-

რი შექმნილია ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და გამოირჩევა შემოქმედებითი მიდგომით ყველა საკითხისადმი. დღესაც მშვენიერი საღამო გავგიმართეს, ქალბატონ ლეილა ბაბაიას შემოქმედება გავაცნეს უფრო ფართოდ, და ეს წიგნი, რომელიც, მართლაც, საოცრად ასახავს მშვენიერებას. დღევანდელი საღამო დიდებულად გამოხატავს იმ განწყობას, რომელიც უწმიდესის დაბადებისა და აღსაყდების დღეებს ეძღვნება. ბუნებრივად ვართ ამ განწყობის მონაწილენი, გავითავისეთ ის. მით უფრო, რომ გვერდით გვყავს ის შესანიშნავი პიროვნებები, რომლებიც თავისი შემოქმედებით ამშვენებენ ამ დიდებულ წიგნს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც შექმნა ეს მშვენიერი წიგნი, გვაზიარა სილამაზეს, გვაზიარა იმას, რასაც მუსიკა, მხატვრობა, ხელოვნება ჰქვია და, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ სვეტლანას ასეთი საღამოსათვის, ყველას, ვინც თავისი შრომა ჩადო იმაში, რასაც წიგნი ჰქვია. მადლობა ლეილა ბაბაიას ასეთი გამოფენისათვის“.

**ელგუჯა გვაზაშვილი:**

- „ძალიან ბედნიერი ვარ თქვენთან შეხვედრით. პირველ რიგში, მადლობა ქალბატონ სვეტლანას, ქალბატონ ლეილას, რომლებმაც დიდებული საღამო გვაჩუქეს. რა თქმა უნდა, პატრიარქს, იმიტომ, რომ ის, რასაც უწმიდესი აკეთებს, ემსახურება ჩვენი ერის მენტალურ ჯანმრთელობას. ის ერი, რომელსაც მენტალური ჯანმრთელობა არა აქვს, ერთად არ მოიხსენიება. ქართული ანბანი ერთ-ერთია იმ თოთხმეტი დამწერლობიდან, იმ ექვსი ათასი ენიდან, რომელიც დედამიწაზე არსებობს. ჩვენი დამწერლობა გამორჩეულია თავისი სილამაზით, ალბათ, ერთ-ერთი ულამაზესია დედამიწაზე, კიდევ და კიდევ დიდხანს, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და თქვენი ღვაწლით, დიდხანს იქნება დედამიწაზე. მარტო იმიტომ არის დასაფასებელი ლეილას მოღვაწეობა, რომ მან იშვილა ქართული დამწერლობა, მთელი თავისი ენერჯია, სიყვარული ჩადო, რომ ეჩვენებინა, რა ღამაზია ქართული ანბანი, ქართული დამწერლობა. ალბათ, იმაზეც უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ, რომ სკოლაში ცოტა სხვანაირად იქნეს მიწოდებული ქართული ენის, ქართული კალიგრაფიის სილამაზე.“

რაც შეეხება წიგნს, მშვენიერებას სხვადასხვა კუთხით გავეცანი. მადლობა ავტორებს ამისათვის. აქ საუბარი იყო მუსიკაზე. ურთიერთობის საუკეთესო სახეზე. როდესაც ადამიანები ეძებენ შეხების წერტილებს, ყველას ავიწყდება, რომ არსებობს დიდებული შვიდი ნოტი, რომლითაც მშვენიერად შეიძლება დავამყაროთ ურთიერთობა ერთმანეთში, რომ ისე არ ვილაპარაკოთ. ჩემი აზრით, ეს 7 ნოტი არის კაცობრიობის ესპერანტო. და ის 7 ფერი, რომელიც არის ფერწერაში. ალბათ, საკრალურია ყველაფერი ეს - 7 ბგერა, 7 ფერი, და მასთან ზიარება, საოცარი ნიჭია. და ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი უწმიდესი უდიდესი საჩუქარია ქართველი ერისათვის. უფალმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი პატრიარქი!“

**გენო კალანდია:**

- „ჩვენ ვტკბებით, მთელი ცხოვრება ქართულ ანბანს ვეფერებით, ვეაღვრებით და ასეთი ფერების შეგრძნება შეუძლია მხოლოდ დიდ პოეტს. გავბედავ და ვიტყვი, რომ ლეილა ბაბაიას შემოქმედება რაღაცნაირად მაგონებს ანა კალანდაძის პოეზიას. ისეთ სიახლოვეს, სიფაქიზეს ვგრძნობ. მადლობელი ვარ ამისათვის. რაც შეეხება წიგნს, გულწრფელად მინდა ვთქვა - მადლობა სვეტლანა ქეცბას. აქ ისეთი ავტორები, ისეთი პროფესიონალები არიან წარმოდგენილი. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა დიდი და კარგი წიგნია. აი, ასეთი წიგნები გადაარჩენს საქართველოს და ჩვენს მომავალ თაობას“.

საღამოზე მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მევიოლინეთა ანსამბლის მიერ (ხელმძღვანელი ელენე ვარციძე) შესრულდა პატრიარქის „ავე მარია“, მეგრული სიმღერა „მახარია“ და მოცარტის „ალილია“.

# აფხაზეთში ლიტერატურის ჟანრების

ტრადიციულად, 21 თებერვალს, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი ცნობილი აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველთა და აფხაზთა ძმობის სიმბოლო დიმიტრი გულიას დაბადების დღეს აღნიშნავს. ამჯერად საღამო სულიერებისა და კულტურის ცენტრის, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირისა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა. დიმიტრი გულიას შემოქმედებაზე, მის როლსა და ადგილზე ამ ორი მოძმე ხალხის თანაცხოვრებაზე ისაუბრეს ხელოვნებათმცოდნე, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ, პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ, შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა პოეტმა გენო კალანდიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მურმან კვარაცხელიამ.

სვეტლანა ქეცბა: - დღეს ჩვენ ვიხსენებთ დიმიტრი გულიას, კაცს, რომელიც დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა ქართველთა და აფხაზთა შორის. 2006 წლიდან სულიერებისა და კულტურის ცენტრი დიმიტრი გულიას დაბადების დღეს საზოგადოებასთან ერთად აღნიშნავს და გვიხარია, რომ ეს საღამოები ინტერესს იწვევს, მართალია, ზოგჯერ ვინრო წრეში, მაგრამ მთავარია ის, რომ ამ ადამიანებს კარგად ესმით ასეთი შეხვედრების მნიშვნელობა, რომლებიც აფხაზური ლიტერატურის პატრიარქს ეძღვნება. მინდა გავიხსენო ბიბლიური იგავი ნიადაგში მოხვედრილი თესლის შესახებ, რომელიც თვითონ კვდება, მაგრამ ახალ სიცოცხლეს, მშვენიერებას აძლევს სანყისს. დიმიტრი გულია დიდი ხანია ჩვენ გვერდით აღარ არის,

მაგრამ ის, რაც მან გააკეთა, ისე გააკეთა, რომ სიცოცხლისუნარიანია, საჭირო. ვფიქრობ, დღეს ჩვენც იმას ვაკეთებთ, რასაც აკეთებდა დიმიტრი გულია - მას მშვიდობა, სიკეთე უნდოდა, საკუთარი ხალხის კეთილდღეობა და ჩვენც ამას ვცდილობთ. მოხარული ვარ, რომ დღევანდელი ღონისძიება მარტო ჩვენი არ არის - მასში მონაწილეობენ მწერლები, მეცნიერები, ჩვენი პოეტები და მუსიკალური კოლექტივი.

პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ დამსწრეებს გააცნო დიმიტრი გულიას ცხოვრების დღემდე ნაკლებად ცნობილი ფაქტები, მათ შორის ის, რომ მას მინიჭებული ჰქონდა შრომის გამირის წოდება.

პოეტმა გენო კალანდიამ გაიხსენა ის წლები, როდესაც პირადად იცნობდა დიმიტრი გულიას, შეხვედრები მასთან და წამოაყენა წინადადება, რათა ერთობლივად მიემართათ სათანადო ორგანოებისათვის დიმიტრი გულიას სახელობის მედლის დანერგვის თაობაზე, რასაც დამსწრეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე ისაუბრა უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მურმან კვარაცხელიამ.

საკუთარი ლექსები წაიკითხა გიორგი შარვაშიძის პრემიის ლაურეატმა მანონ ბულისკერიამ.

საღამო მუსიკალურად გააფორმა სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „დიოსკურიამ“ (ხელმძღვანელი დავით ოკუჯავა), რომელმაც ქართული და აფხაზური ხალხური სიმღერები შეასრულა.

## „წახელ სიზმარი ვნახე... ანუ ისევ აფხაზეთი“

აფხაზეთი რომ მხოლოდ სიზმრებში ეცხადება ამ კურთხეული მიწის შვილებს, კარგა ხანია, არავის უკვირს, მაგრამ მისასალმებელი და ფრიად სასიხარულოა, რომ ამ სიზმრებს ის ახალგაზრდებიც ხედავენ, რომლებსაც აფხაზეთი თვალთაც არ უნახავთ, მხოლოდ მონათხრობით თუ ფოტოებით იცნობენ მას. დიას, სასიხარულო და იმედისმომცემია, რამეთუ წნორედ ამ თაობამ უნდა გაამთლიანოს ის ჩატეხილი ხიდი, რომელიც ორ მოძმე ხალხს შორის საუკუნეების მანძილზე ურყევად იდგა და უცხოტომელი მოძალადის მზაკვრობით ჩაიშალა.

აფხაზეთი იყო ლიტერატურული საღამოს თემა, რომელიც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა და თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძართან არსებულმა ჯგუფმა „ტალანტი“ 2016 წლის 28 თებერვალს, ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, გამართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში. მასში მონაწილეობდნენ: თბილისის კლასიკური გიმნაზიის, სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“, 50-ე, 71-ე, 143-ე, 178-ე საჯარო სკოლების, 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეები. საღამო მოამზადეს თბილისის 178-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ციცილო ჯაბახიძემ და ისტორიის პედაგოგმა ლია ჯანაშიამ.



ჯგუფი „ტალანტი“ შეიქმნა 2014 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევისა და მონოების „ვილოცოთ, ვიფიქროთ, წარმოვშვათ იდეები და ვიპრობოთ“ საფუძველზე თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძართან (წინამძღვარი - დეკანოზი ბიძინა გუნია). იგი ემსახურება უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით ნიჭიერი ადამიანების გამოვლენას, მათი საქმიანობის ხელშეწყობას და მრევლის დასაქმებას.

დღევანდელი საღამო რიგით მეორე იყო. პირველი - „საქართ-

ველო არის ესე“ - ჩატარდა ორიოდე თვის წინ წმ. სამების საკათედრო ტაძარში, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში .

აფხაზური მანდილებით თავდაბურული 24 გოგონა და ექვსი ვაჟი ტკივილით, მონატრებით საუბრობდა აფხაზეთზე - ასე ახლობელსა და, ამასთან, მიუწვდომელზე. მათ ხმაში იმდენი სითბო და სიყვარული გამოსჭვივოდა, რომ, ალბათ, ენგურსგალმა დარჩენილები იმასვე იგრძნობდნენ, რასაც დარბაზში მსხდომნი - ბევრს ცრემლი მოერიდა, ერთი საათის მანძილზე სიზმარი ცხადად იქცა და ყველა დამსწრე აფხაზეთს ეწვია...

სალამოს მონაწილეები დალოცა დეკანოზმა ბიძინა გუნიამ: „ამ ახალგაზრდებს პარლამენტმა რომ მოუსმინოს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი იქნებ მაშინ უფრო სწრაფად გადაწყდესო“, - აღნიშნა მან. სალამოს ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ, ხოლო ჯგუფ „ტალანტის“ სულისჩამდგმელმა ქალბატონმა ირინე გუნიამ ახალგაზრდები ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული აფხაზეთის ხედვებით დაასაჩუქრა.

### „აბესალომ და ეთერი“



უზომო სიხარული მოჰგვარა სულიერებისა და კულტურის ცენტრმა აფხაზეთის დევნილ საზოგადოებას. 29 იანვარს ორმოცი ადამიანი დაესწრო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის განახლებულ შენობაში „აბესალომ და ეთერი“ გენერალურ რეპეტიციას. ამ სპექტაკლთან ცენტრს განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს: 2009 წელს ფალიაშვილის მუზეუმში სწორედ ცენტრმა დაუდო სათავე ოპერის პრემიერის საიუბილეო საღამოების აღნიშვნას. მასში ოპერის სხვადასხვა

დროის საუკეთესო ძალები - მედეა ამირანაშვილი, მარიცა მალაფერიძე, რევაზ ტაკიძე, ელდარ გენაძე, თეიმურაზ გუგუშვილი და გიზო ჟორდანიას მონაწილეობდნენ.

ამჯერად თავად ოპერის მოსმენისა და ნახვის ბედნიერება გვერგო წილად. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. დარბაზში შესულები უეცრად ზღაპრულ სამყაროში აღმოვჩნდით - ახლადგახსნილი შენობის გაბრწინებული შიდა ინტერიერი, სერგო ქობულაძის ფარდა, დახვეწილ-ფაქიზი, გემოვნებიანი დეკორაციები და, რაც მთავარია, მსახიობთა დიდებული დასი. ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი მუსიკა, დამაჯერებლად აჟღერებული გუნდსა და ორკესტრში და მთავარ მოქმედ პირთა სცენური სახეები მაყურებელს მათი ტკივილისა და სიხარულის თანაზიარს ხდიდა.

ახალი დადგმის რეჟისორი გიზო ჟორდანია ბრძანდება, მხატვარი - გოგი ალექსი-მესხიშვილი, დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი. ნამყვან პარტიებს ასრულებდნენ ჩვენთვის კარგად ცნობილი, ცენტრის არაერთი ღონისძიების მონაწილე მსახიობები - თეიმურაზ გუგუშვილი, არმან დარაშვილი, ირინა ალექსიძე, მარიკა მაჩიტაძე, ახალგაზრდა ამომავალი ვარსკვლავი რევაზ ლაგვილავა და სხვები.

მადლობას ვუხდით ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ დავით კინწურაშვილს, რომელმაც ცენტრის თხოვნით ამ დიდებულ სანახაობაზე დასწრების საშუალება მოგვცა.

გვიმრავლოს მსგავსი დღესასწაულები...

### „მადრობა ყკვდაკებაში გახდასყრ შკირთა დედებს“

დედის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე 2016 წლის 4 მარტს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში მოწვეული იყვნენ აფხაზეთის ომში დაღუპულთა დედები. ღონისძიება მოაწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა და საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ. დამსწრეებს მიესალმნენ და დედის დღე მიულოცეს სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული

სასახლის დირექტორმა ქეთი ფეიქრიშვილმა, საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯანრი უბირიამ. სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე, ომში დაღუპულ მეომართა დედები - ნარგიზა მარტიაშვილი და ნანული მარხულია.

მოწვეულ სტუმრებს მხატვრული პროგრამით წარუდგინენ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი-2-თან“ არსებული ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ამრა“ (ხელმძღვანელები: სოფიო ქირია, სოსო კიკვაძე), მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბასიანი“ (ხელმძღვანელი: ირაკლი ცერცვაძე); ლექსები დედაზე წაიკითხეს ანა ქაშიბაძემ და გიორგი კინწურაშვილმა. საღამოს დასასრულს საჩუქრები გადაეცათ მოწვეულ ქალბატონებს.

# „ქალი მომავლის ზეგნით“

„ქალი მომავლის რწმენით“ – ასეთი სახელწოდება ჰქონდა სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რუსთავის №5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრისა და საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ მიერ იყო ორგანიზებული.

ქალთა კოლონიაში მისულ სტუმრებს დაწესებულების ინფრასტრუქტურა: ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამკერვალო, სილამაზის სალონი და სამლოცველოები სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზვიად მიხანაშვილმა დაათვალიერებინა და ქალბატონების სასჯელის მოხდის პირობები გააცნო. დაწესებულებაში დღესასწაულთან დაკავშირებით, აგრეთვე, მსჯავრდებულ ქალბატონების ხელნაკეთი ნივთების გამოფენაც მოეწყო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ მსჯავრდებულებს ქალთა დღე მიულოცა და დაწესებულებაში სტუმრობის საშუალებისთვის სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრს კახა კახიშვილსა და სამინისტროს წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა.

„მინდა ყველა ქალბატონს, ვინც მსჯავრდებულია და ვინც აქ მუშაობს, მიულოცო ქალთა საერთაშორისო დღე. ჩვენ დღეს ვთხოვეთ ჩვენს ხელოვნების მუშაკებს, სახალხო არტისტებს, მომღერლებს, რომ ყოფილიყვნენ ჩვენთან ერთად. რაც აქ, ამ დაწესებულებაში ვნახე, მართლაც გასაოცარი რამ არის - ქალბატონების ყოფა, სამლოცველო, ერთი მუსლიმანებისათვის, ქრისტიანებისათვის. განწყობა, რომელითაც ხვდებიან ერთმანეთს ეს თანამშრომლები და მსჯავრდადებულები, - მაგალითია,

თუ როგორ უნდა ეპყრობოდნენ ერთმანეთს ადამიანები“,- განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

მსჯავრდებულ ქალბატონებს სიტყვით მიმართეს საქართველოს სახალხო არტისტებმა: საოპერო სცენის ვარსკვლავმა მედეა ამირანაშვილმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა ელდარ გენაძემ, საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ დირექტორმა დავით კინწურაშვილმა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა თეიმურაზ ელიაგამ, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ბელა კოპალიანმა და N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა ნესტან ვერულაშვილმა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა დაწესებულების ბიბლიოთეკას საჩუქრად მათ მიერ ბოლო წლებში გამოცემული ნივთები გადასცეს.

ღონისძიების ფარგლებში კონცერტიც გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ესტრადის ცნობილმა წარმომადგენლებმა: პროექტ „X ფაქტორის“ ფინალისტმა მიშო ელიაგამ, პროექტ „ახალი ხმის“ მე-2 სეზონის მონაწილე გოგა მესხმა, ქალთა ტრიო „რამპამ“. ლექსები ემოციურად წაიკითხეს გიორგი კინწურაშვილმა და ანა ქაშიბაძემ. ღონისძიებას ცნობილი მომღერალი ჰაატა თედიაშვილი უძღვებოდა.

შეხვედრამ დარბაზში მყოფ მსჯავრდებულ ქალბატონებს უდიდესი სიხარული მოჰგვარა, დროებით რეალობას მოსწყვიტა და ხვალინდელი დღის იმედი და რწმენა ჩაუსახა.

# სტუმრად „კათარზისში“

სათნოების სახლ „კათარზისის“, რომელსაც სხვა მიუსაფარ ადამიანებთან ერთად აფხაზეთიდან დევნილი ბენეფიციარებიც მრავლად ჰყავს, შობა-ახალი წლის მისალოცად აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები და აფხაზეთის შემოქმედებითი ახალგაზრდობა ეწვია. დამსწრეებს დღესასწაული მიულოცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავამ, დეპუტატმა თეიმურაზ მჭავიამ და სხვებმა. საქველმოქმედო აქცია-კონცერტის წამყვანმა სოფო ქვარცხავამ განსაკუთრებული სიყვარულით ილაპარაკა „კათარზისის“ დახმარებაზე ხანდაზმული მარტოხელა ადამიანების მიმართ და მათ უანგარო თანადგომაზე. გაისხენა „კათარზისში“ მუდმივად მცხოვრები სოხუმელი ქალბატონი დარეჯან ოჩიგავა და იზოლდა გობეჯიშვილი, რომელსაც მეუღლე და ერთადერთი ვაჟიშვილი სოხუმის ბრძოლებში დაეღუპა. ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. ზეიმის მონაწილეებს საახალწლო საჩუქრები მიართვეს და ლექსებით მიულოცეს ახალი წელი საბამაისურაძემ, თეკლე და ალექსანდრე წურწუმიეზმა, ლუკა მახარაშვილმა, ელენე კოპალიანმა, ანა კოპალიანმა, დათო ჭაჭუამ, თამთა იზორიამ და სხვებმა. საახალწლო ფოლკლორული სიმღერები შეასრულეს N2 სახელოვნებო სკოლა „აფხაზეთის“ აღსაზრდელებმა (ხელმძღვანელი ლ. უბილა-

ვა), ამავე სკოლის პედაგოგმა სალომე ყოლბაიამ. ქართული და უცხოური საესტრადო სიმღერები შეასრულეს ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა: თამარ საბაურმა, ქრისტი და მარი შაშიაშვილებმა, ანა ხიდაშელმა, ნიკა მიქავამ და ლიზი ზარანდიამ, რომელმაც თქვა: ბევრჯერ გამოვსულვარ ფილარმონიაში უამრავი მაყურებლის წინაშე, ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალებში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ასე გულთ არავისთვის მიმღერია „მზეო თიბათისა“. მინდა ყველას მოვეფერო, ჩავეხუტო და სიყვარულით მივულოცო შობა-ახალი წლის დადგომა: მოხუცებს, მარტოხელებს, ბებიებსა და ბაბუებს, ჩვენ ხომ მათი თვალისჩინი ვართ... თანამედროვე სამეჯლისო ცეკვები შეასრულა სამეჯლისო ცეკვების გოგონათა ანსამბლმა „გაზაფხულმა“ (ხელმძღვანელი ირინა მიროტაძე).

ღონისძიების დასასრულს „კათარზისელების“ სახელით შეკრებილებს დღესასწაული მიულოცა და მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა სათნოების სახლ „კათარზისის“ პრეზიდენტის თანაშემწე გულიკო რამიშვილმა: „მიხარია, რომ „კათარზისი“ მშობლიური სახლი გახდა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ჩვენი მხარდაჭერა სჭირდებათ. ჩვენ არ ვასხვავებთ ადამიანებს ეროვნების მიხედვით. ყველას ერთნაირად ვუწვდით ხელს და ვუქმნით ოჯახურ, მყუდრო გარემოს, რაც ასე სჭირდება ხანდაზმულ ადამიანებს. სასიამოვნოა, რომ აფხაზეთის ინტელიგენცია და ახალგაზრდობა წლების მანძილზე გვერდში გვიდგას ამ საქველმოქმედო საქმეში“.



# გიგა დათუაშვილის გამოფენა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში 22 - 28 თებერვალს მოენყო მხატვარ გიგა დათუაშვილის ნამუშევრების გამოფენა. ექსპოზიცია ავტორის დაბადების ორმოც წელს მიეძღვნა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 90-იანი წლების მიწურულის ნამუშევრები: ლიტერატურული პერსონაჟების ინტერპრეტაციების ამსახველი გრაფიკული სერიები; ტემპერის საღებავებით შესრულებული კომპოზიციები; აკვარელით, ფანქრით თუ კალმით შესრულებული პორტრეტული ჩანახატები.

გიგა დათუაშვილმა ხატვა ადრეული ასაკიდან დაიწყო. პროფესიული განათლება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის რესტავრაციის ფაკულტეტზე მიიღო. აკადემიის დასრულების შემდეგ უანგაროდ ასწავლიდა ხატვას ქეგვის ბავშვთა სახლში. მონაწილეობდა არაერთი ტაძრის მონაწილეობების სარესტავრაციო სამუშაოებში.

2000 წელს, 24 წლის ასაკში, გიგა დათუაშვილი ტრაგიკულად გარდაიცვალა. ავტორის ნამუშევრები და ხელნაწერები ინახება მისი ოჯახის კერძო კოლექციაში.

*წმიდა ანდრია, კრეტელი მთავარეპისკოპოსის კოპისი*  
*(+712 - 726) 4 (17) ივლისი*

წმიდა ანდრია, კრეტელი მთავარეპისკოპოსი დაიბადა ქალაქ დამასკოში, კეთილმსახური ქრისტიანების ოჯახში. შვიდი წლის ასაკამდე იგი ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ შემდეგ, ქრისტეს წმიდა სისხლთან და ხორცთან ზიარებისას, მეტყველების უნარი მიემდღა. ამ დროიდან მოყოლებული, ყრმა გულმოდგინედ შეუდგა წმიდა წერილისა და საღვთისმეტყველო მეცნიერებების შესწავლას.

ოთხმეტი წლის წმინდანმა იერუსალიმს მიაშურა და საბა განწმენდილის ლავრაში ბერად აღიკვეცა. თავმდაბალი ბერი მკაცრი, თავშეკავებული ცხოვრებით ცხოვრობდა და ყველას აოცებდა თავისი ღვთისმოშიშებითა და გონიერებით. კეთილმსახურებისა და გამორჩეული ნიჭიერებისათვის იგი იერუსალიმის საპატრიარქოს მდივნად - ნოტარიუსად დანიშნეს. 680 წელს წმიდანი მთავარდიაკვნის ხარისხში VI მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა, სადაც, მართლმადიდებლური დოგმატიკის ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით ამხილა ერეტიკოსების ცრუსწავლება. კრება ახალი დამთავრებული იყო, როცა ანდრია იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში გაიწვიეს

და წმიდა სოფიას ტაძრის მთავარდიაკვნად დაადგინეს. იმპერატორ იუსტინიანე II-ის (685-695) ზეობისას ნეტარ მამას კუნძულ კრეტაზე მდებარე ქალაქ ჰორტინის მთავარეპისკოპოსად დაასხეს ხელი. ამ ახალ სარბიელზე იგი გაბრწყინდა, როგორც დიდი ღვთისმეტყველი, მქადაგებელი და ჰიმნოგრაფი.

მღვდელმთავარმა ანდრიამ მრავალი საღვთისმსახურო საგალობელი შექმნა. მან დაუდო სათავე ახალ ლიტურგიულ ჟანრს - კანონს. განსაკუთრებით აღსანიშნავია „სინანულის დიდი კანონი“, რომელიც დიდმარხვის საკითხავებშია ჩართული. მარხვის პირველ კვირიაკეში, სერობებზე ის ნაწილ-ნაწილ იკითხება, მეხუთე კვირიაკის ხუთშაბათს კი - მთლიანად. შემდგომ საუკუნეებში ანდრია კრეტელის ჰიმნოგრაფიული ტრადიციები გააგრძელეს წმიდა მამებმა: იოანე დამასკელმა, კოზმა მაიუმელმა, იოსებ მგალობელმა...

ნეტარი ანდრიას მიცვალების თარიღის შესახებ საეკლესიო ისტორიკოსებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგი 712 წელს ასახელებს, სხვები - 726 წელს.

*წმიდანთა ცხოვრება, ტომი I, თბილისი, 2008 წ.*

## საკლესიო კალენდარი

### აპრილი

- 2 აპრილი (შაბ.) – მონამე ფოტინეს ხსენება (დაახ. 66 წ.);  
– მიცვალებულთა ხსენება (წმ. იოანე ოქროპირის წირვა)
- 3 აპრილი, დიდი მარხვის მე-3, ჯვრის თაყვანისცემის კვირა  
– ღირსი იაკობ ეპისკოპ., აღმსარებლის ხსენება (VIII ს.) წმ. ბასილი დიდის წირვა).
- 6 აპრილი (ოთხშ.) – დიდი მარხვის განზოგება (პირველშენიშნულის ლიტურგია).
- 7 აპრილი (ხუთშ.) – ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა  
(წმ. იოანე ოქროპირის წირვა. სსნილი თევზით)
- 8 აპრილი (პარ.) (ხარების დღესასწაულის წარგზავნა)  
– კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა.  
(პირველშენიშნულის ლიტურგია).
- 9 აპრილი (შაბ.) – მიცვალებულთა ხსენება (წმ. იოანე ოქროპირის წირვა)
- 10 აპრილი, დიდი მარხვის მე-4 კვირა  
– ღირსი იოანე კლემასის ხსენება (649).  
(წმ. ბასილი დიდის წირვა).
- 14 აპრილი, დიდი კანონის ხუთშაბათი  
– ღირსი იოანე შავთელისა ხსენება.  
(პირველშენიშნულის ლიტურგია).
- 15 აპრილი (პარ) – ღირსი გიორგი მანყვერელის ხსენება (IX-X ს.ს.);

(პირველშენიერულის ლიტურგია).

- 16 აპრილი, დაუჯდომლის შაბათი (ღმრთისმშობლის დაუჯდომლის გალობა)  
(ნმ. იოანე ოქროპირის ნირვა)
- 17 აპრილი, დიდი მარხვის მე-5 კვირა  
– ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენებას  
(ნმ. ბასილი დიდის ნირვა).
- 23 აპრილი, ლაზარეს შაბათი – მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება.  
– „ქება და დიდებაი ქართულისა ენისაი“.  
(ნმ. იოანე ოქროპირის ნირვა. ხსნილი თევზით)
- 24 აპრილი, დიდი მარხვის მე-6, ბზობა-ბაიაობის კვირა.  
– იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში.  
(ნმ. იოანე ოქროპირის ნირვა. ხსნილი თევზით)
- 26 აპრილი, დიდი სამშაბათი  
– ნმიდა დიმიტრი ყიფიანის, სამშობლოსათვის თავდადებულის ხენება (1887)  
(პირველშენიერულის ლიტურგია).
- 28 აპრილი, დიდი ხუთშაბათი  
– საიდუმლო სერობის ხსენება (ნმ. ბასილი დიდის ნირვა).
- 29 აპრილი, დიდი პარასკევი  
– ხენება ნმიდათა მაცხოვრებელთა ვნებათა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ცისკრად 12 ვნების სახრების კითხვა.  
(ნირვას არ უჩენს).
- 30 აპრილი, დიდი შაბათი  
– ნმიდა ეფრემ დიდის, მანყვერელის ხსენება (IX).  
(ნმ. ბასილი დიდის ნირვა).

#### მაისი

- 1 მაისი (კვ.) - ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტისნი.  
2 მაისი, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი (მსგეფსი ხსნილია)  
– საფლავთა კურთხევა  
3 მაისი, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი  
– ივერიის ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;  
– 6000 დავით გარეჯელ მონამეთა ხსენება.  
4 მაისი, ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათი  
– მღვდელმონამე ექვთიმეს, გაენათელი მიტროპოლიტის ხსენება.  
6 მაისი, ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევი  
– ნმიდისა დიდებულისა, დიდისა მონამისა, ძღვევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედისა ბიორბის ხსენება.  
7 მაისი, ბრწყინვალე შვიდეულის შაბათი  
– ნირვის შემდეგ არტოსის განტეხა.  
8 მაისი, აღდგომიდან მე-2, თომას კვირა. კვირაცხოვლობა.  
10 მაისი (სამშ.) – მიცვალებულთა ხსენება.  
12 მაისი (ხუთშ.) – ნმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენება.  
13 მაისი (პარ.) – მოციქულ იაკობ ზებედეგს ხსენება;  
– ნმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვის ხსენება.  
14 მაისი (შაბ.) – კეთილმორწმუნე მეფის თამარის ხსენება.  
15 მაისი, აღდგომიდან მე-3, მენელსაცხებულე დედათა კვირა  
– აღმართებაი პატიოსნისა ჯვარისა მცხეთისაი.  
18 მაისი (ოთხშ.) – მონამე საგდუხტ ქალწულის ხსენება;  
– დიდმონამე ირინეს ხსენება;  
– დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი“.  
20 მაისი (პარ.) – ხსენება სასწაულისა პატიოსნისა ჯვარისა, რომელი გამოცხადდა ცასა შინა იერუსალიმს;  
– ღირსი იოანე ზედაზნელისა და მისთა ათთორმეტთა მონაფეთა ხსენება.  
21 მაისი (შაბ.) – ნმ. მოციქულის და მახარებლის იოანე ღმრთისმეტყველის ხსენება.  
22 მაისი, აღდგომიდან მე-4, გარღვეულის კვირა.  
– აღმოყვანება ნანილთა ნმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა მირონლუკიიდან ბარში (1087წ.);  
24 მაისი (ორშ.) – ნეტარ ქრისტესიას, ქრისტეფორედ წოდებულის ხსენება (1771წ.);  
25 მაისი (ოთხშ.) – **ქრისტის განჯობება.**  
26 მაისი (ხუთშ.) – ღირ. ექვთიმე ათონელის ხსენება (1028წ.);  
28 მაისი (შაბ.) – ღირ. პიროს ბრეთელის ხსენება (VII.);  
– ღირ. პახუმი დიდის ხსენება (დაახლ. 348წ.)  
29 მაისი, აღდგომიდან მე-5, სამარიტელის კვირა:  
– ღირსი თეოდორე განმენდილის ხსენება (368).  
31 მაისი (სამშ.) – შვიდი მსოფლიო კრების ნმ. მამათა ხსენება.

**წუმერ სიჯეზი პნენე... ანუ ისეჰ აჟნეჟეტი**



**„მარტია უპრეჟეჟეჟი ბაჰრენეჟე  
უჟირთა რეჟეჟე“**





ISSN 2298-0865



9 772298 086004

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),  
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა  
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, თოფურისა ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი